იაკობ გოგებაშვილი
(1840-1912)

ბიოგრაფია

იაკობ გოგებაშვილი დაიბადა 1840 წლის 15 ოქტომბერს (27 ოქტომბერი) სოფელ ვარიანში (ახლანდელი გორის რაიონი)

- **ვარიანი (კოშკი)**
- სოფელი ვარიანი მდებარეობს შიდა ქართლის ვაკეზე, მდინარე ლიახვის მარჯვენა ნაპირზე. გორი-ნიქოზი-ცხინვალის საავტომობილო გზაზე, გორის რაიონში, გორიდან 12 კილომეტრის მანძილზე.
ვარიანი უძველესი დროიდან უნდა ყოფილიყო დასახლებული. ფეოდალურ ხანაში სოფელი და მისი შემოგარენი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ქართლის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. გვიანდელ ფეოდალურ ხანაში ვარიანი წარმოადგენდა მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტს საქართველოში შემოსული მტრის წინააღმდეგ წარმართულ ბრძოლებში. ფეოდალების, ბატონიშვილებისა და მეფის მოხელეებისაგან შევიწროებულმა ვარიანელმა გლეხებმა 1789 წელს საჩივრით მიმართეს ერეკლე II-ს.
კოშკი მდებარეობს სოფლის დასავლეთით, 0,4-0,5 კილომეტრზე. თარიღდება გვიანდელი ფეოდალური ხანით. კოშკი ცილინდრულია (დიამეტრი 6,7 მეტრი), საცხოვრებელ-სათავდაცვო. ნაგებია რიყის ქვით. სართულშუა გადახურვებში და კარ-სარკმლების წირთხლებში გამოყენებულია აგური.
კოშკს შეისრულთაღიანი შესასვლელი აღმოსავლეთით აქვს. კარი გარედან მოქცეულია ირიბად შეჭრილი სწორკუთხა შეღრმავებაში, რომელიც დასრულებულია აგურის საფეხურიანი ფრიზით. პირველი სართული შიგნიდან წრიულია, მეორე - სწორკუთხა. კედელში, შესასვლელის გვერდებზე, თითო ფართო შეისრული ნიშია, რომლებშიც თითო მცირე სწორკუთხა სარკმელია: მათ ქვემოთ თითო სათოფურია. დასავლეთ კედლის ცენტრში, ნახევარწრიულ ბუხარში გაჭრილია ერთი სარკმელი-სათოფური. ბუხრის ორივე მხარეს თითო სათოფურიანი და შეისრული თაღით დასრულებული ნიშია. ჩრდილოეთ კედლის ცენტრში იატაკიდან იწყება დიდი შეისრულთაღიანი ნიში, რომელშიც მცირე სწორკუთხა სარკმელია. სარკმლის ქვემოთ მცირე ნიშია. შეისრულთაღიანი და სათოფურიანი თითო ნიში ამავე კედლის კიდეებშიცაა, ხოლო ერთი შეისრულთაღიანი და შეწყვილებულსათოფურიანი ნიში - სამხრეთ კედლის აღმოსავლეთ ნაწილში. ამავე კედელშია დატანებული მესამე სართულზე ასასვლელი კიბე. მესამე სართული წრიულია. შემორჩენილ კედლებში შეისრულთაღიანი სამი სარკმელი (საზარბაზნეები), ერთი ნახევარწრიული ბუხარი და რამდენიმე სათოფურიანი ნიშია. კოშკის შესასვლელის ზემოთ, აგურის წყობაში გამოსახულია შეღრმავებული ჯვარი. ყველა სართული გადახურული იყო გუმბათოვანი კამარით.
კოშკის მახლობლად, ადგილ ლელისთავებში, ნასოფლარზე შემორჩენილია რიყის ქვით ნაგები შენობების საძირკვლის ნაშთები. იპოვება წითლად გამომწვარი უხეშკეციანი თიხის ჭურჭლისა და დიდი ქვევრის ნამტვრევები. გადმოცემით მოსახლეობა აქედან ლეკთა შემოსევების დროს, XVIII საუკუნეში აყრილა.
- http://dzeglebi.com/view.php?id=166

იაკობის მშობლები

- მამა – სვიმონი – მღვდელი იყო. სვიმონს სურდა, რომ შვილებიც სასულიერო პირები გამოსულიყვნენ, იაკობი კი დედასაც და მამასაც ბერად წარმოედგინათ. მართალია, იაკობი ძალიან სუსტი ბავშვი იყო, მაგრამ მეტად ჭკვიანი, გამჭრიახი და მკვირცხლი გონება ჰქონდა. უამრავ ლოცვას, ლექსსა და საგალობელს ადვილად ითვისებდა. თანატოლებს იაკობი ძლიერ უყვარდათ, რადგან ყოველთვის ნაირ-ნაირ მოთხრობებსა და ლექსებს უყვებოდა. მამისაგან სიმღერის ნიჭიც დაჰყვა. პატარა იაკობს ძალიან იზიდავდა სოფლის ბუნება. იგი საათობით აკვირდებოდა სხვადასხვა ყვავილებს, ცხოველებს, ანკარა მდინარეში მოფართხალე თევზებს. ალაბათ ამიტომაც შესძლო შემდგომში იაკობმა, ასე საინტერესოდ აღეწერა ეს მშვენიერი სამყარო „ბუნების კარში“.

სწავლა-განათლება

- მაშინდელ დროში სოფლად სკოლები არ იყო, ბავშვებს წერა-კითხვას შინ ასწავლიდნენ ხოლმე. მაგრამ იაკობი იმდენად ნიჭიერი ბავშვი აღმოჩნდა, რომ ოჯახმა იგი ქალაქ გორში ჩაიყვანა და სასულიერო სასწავლებელში მიაბარა. იაკობი მეტად ბეჯითი მოსწავლე გამოდგა, იგი ძალიან ბევრს მეცადინეობდა და მალე საუკეთესო მოწაფე გახდა. იაკობს ძალიან აინტერესებდა საქართველოს ისტორია და ლიტერატურა, ბევრს კითხულობდა, ეცნობოდა საეკლესიო ისტორიასა და საღვთისმეტყველო წიგნებს. შემდგომში ეს ცოდნა მას დაეხმარა, ბავშვებისათვის მათთვის გასაგებ ენაზე, დაეწერა საღმრთო ისტორია.
  სკოლის დამთავრების შემდეგ, 1855 წელს იაკობი თბილისის სასულიერო სემინარიაში შევიდა, მაგრამ არც ამით დაკმაყოფილდა და 1861 წელს სწავლის გასაგრძელებლად კიევში გაემგზავრა, სადაც სასულიერო აკადემიაში ჩააბარა. პარალელურად უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო დისციპლინებში ისმენდა ლექციებს. კიევში მას შესაძლებლობა მიეცა, თანამედროვე მეცნიერების, პედაგოგების, საზოგადო მოღვაწეების შრომებს გასცნობოდა. მაგრამ კიევის ჰავამ ისედაც სუსტი ჯანმრთელობის იაკობზე კიდევ უფრო ცუდად იმოქმედა და იგი ტუბერკულოზით დაავადდა. ექიმის დაჟინებული მოთხოვნით, იაკობი იძულებული გახდა მესამე კურსი მიეტოვებინა, 1863 წელს სამშობლოში დაბრუნებულიყო.

შემოქმედება

- 1865 წ. გამოვიდა ი. გოგებაშვილის „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“, შემდეგ – „ბუნების კარი“ (1868), „დარიგება მოსწავლეთათვის, თუ როგორ უნდა წაიყვანოს სწავლება წერა-კითხვისა ქართულ ანბანში“ (1872), „დედა ენა“ (1876). “დედა ენა” გოგებაშვილის სიცოცხლეში 33-ჯერ გამოიცა, გარდაცვალების შემდეგ 25-ჯერ. “დედა ენას” “ვეფხისტყაოსნის” ბადალი უწოდეს, რადგან ხალხისათვის ყველაზე საყვარელი და პოპულარული წიგნი გახდა. გოგებაშვილის წიგნები ათი ათასობით ვრცელდებოდა. ყოველწლიურად 20-25 ათასი “დედა ენა” და 5-6 ათასი “ბუნების კარი” იყიდებოდა. ამ წიგნებმა დაუდო საფუძველი განათლების ფართოდ გავრცელებას.

დედა ენა

დედა
ენა

იაკობ გოგებაშვილი
დედა ენა

დედა ენა


ილია

დედა ენა
خودآموز زبان گرجی

როგორ დაიწერა „იავნანამ რა ჰქმნა?!”

- წერა განსაკუთრებით დილის საათებში უყვარდა. წერით რომ გულს იჯერებდა, შემდეგ კითხულობდა ან სტუმრებს ესაუბრებოდა. ერთხელ "დაკანონებული" რეჟიმი დაურღვევია. ანდრია სრისელის ვაჟი იხსენებს: "ერთხელ ნამგზავრ მამაჩემს იაკობის სასტუმრო ოთახში ტკბილად ეძინა. შუაღამისას ძილი გაუფრთხო ხმაურმა, რომელიც იაკობის სამუშაო ოთახიდან გაისმა: - "ქეთოს იტაცებენ", - მოესმა გარკვევით. ანდრია წამოდგა, საათს დახედა, შუაღამე გადასული იყო. ვინ უნდა იყოს ამ დროს იაკობთან?! - გულში გაივლო და საწოლი ოთახიდან ფეხაკრეფით გამოვიდა ამბის გასაგებად.

  ნელი ნაბიჯით მივიდა იაკობის სამუშაო ოთახის კართან, კარის მაგიერ ჩამოფარებული ფარდის ერთი ნაწილი ფრთხილად გასწია და რას ხედავს: იაკობს საშინაო გრძელი ხალათი აქვს წამოსხმული და ოდნავ აღელვებული, ნელი ნაბიჯით დადის ოთახის ერთი კუთხიდან მეორეში. ხან შეჩერდება, ჩაფიქრდება, თითქოს რომელიმე მოკამათესთან საპაექროდ ემზადებაო. იაკობმა ერთხელ კიდევ წარმოთქვა: "ქეთოს იტაცებენ" და ისევ მიუჯდა თავის საწერ მაგიდას. წერს თავაუღებლად, ხელგაკვრით. იაკობის ისეთი შთაგონებული და ნაპერწკლიანი თვალები არასოდეს არ უნახავს ანდრიას. იაკობს წერაში შემოათენდა. განთიადისას ძილი მოერია. წამოდგა, დაწერილი ფურცლები ერთიმეორეზე დასტა-დასტა დაალაგა საწერ მაგიდაზე, სარკმელი გააღო, დაბალ ხმაზე "იავნანა" ჩაიღიღინა და ლოგინს მიაშურა.

  მთაწმინდიდან წამოსული დილის ნიავი ღია ფანჯარაში შეიჭრა, თითქოს ნაწერი ფურცლების ზვინს მოეალერსაო, შეაშრიალა და იატაკზე ფოთლებივით მიმოფანტა. ღამენათევ იაკობს გვიან გაეღვიძა. სტუმარს მოუხმო, ბოდიში მოიხადა, - წუხელ ალბათ ძილი გაგიფრთხეო. შემდეგ კი მოკრძალებით მიმართა: მიდი, გეთაყვა, ანდრია, საწერ ოთახში გაფანტული ფურცლები ერთიმეორეზე დაალაგე ნომრების მიხედვით და აქ მომიტანეო. ანდრიამ უყოყმანოდ შეასრულა იაკობის თხოვნა: გაბნეული ფურცლები შეაგროვა და იაკობს მიუტანა. ნაწერი ფურცლების ერთ თავფურცელს ყაყაჩოს მელნით ტანწერწეტა ლამაზი ასოებით ეწერა: "იავნანამ რა ჰქმნა?". - ეს მოთხრობა კავთისხევში დავწერე, ჩემი მეგობრის სახლში. წუხელის ცოტაოდენი შალაშინი გავკარი და ახალი საჩუქარი მოვუმზადე ჩვენს ბალღებს. რაც შეეხება იმას, თუ როგორი საჩუქარია, დაე, ეს ჩვენმა პირუთვნელმა მკითხველმა განსაჯოს, - კმაყოფილებით უთქვამს იაკობს ანდრიასთვის".

  წყარო/Source: http://www.ambebi.ge/books/27211-vis-dautova-iakob-gogebashvilma-thavisi-goneba-da-rogor-daitsera-giavnanam-ra-hqmnag.html#ixzz2h1sF77Mr

კახეთი

მოქმედება ხდება სოფელ ვაშლოვანში

მთა ცივი

რომელი ეპიზოდია?

რომელი ეპიზოდია?

გაიხსენე ამ ეპიზოდის შინაარსი

დაასახელე სურათზე გამოსახული პერსონაჟები

რატომ მოიწყინა მაგდანმა?

გვესაუბრე ზურაბ ქართველაძის გადაწყვეტილებაზე

დაასათაურე სცენა

ისაუბრე ქეთოსა და მაგდანის განცდებზე

თქვენი თანატოლების შემოქმედება

- http://www.youtube.com/watch?v=aP-p5rxb-Y4#t=30
- იაკობ გოგებაშვილის იუბილესთან დაკავშირებით "იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლის" მეხუთე კლასის მოსწავლეებმა (დათი აბესაძე, ნიკოლოზ სანიკიძე, ნატო ბალავაძე, ქრისტინე ღვინეფაძე, მათე ყოჩიაშვილი) შექმნეს მოთხრობის -- ,, იავნანამ რა ჰქმნა?!'' აუდიო ვერსია. პროექტში მონაწილეობა მიიღეს ასევე მეექვსე და მეშვიდე კლასის მოსწავლეებმა, რომლებმაც ინფორმატიკის გაკვეთილზე შექმნეს ილუსტრაციები გრაფიკული რედაქტორის გამოყენებით (ჩანაწერისათვის გამოყენებულია ფოტოები ფილმიდან ,,იავნანა'', სხვადასხვა კუთხის ქართული ხალხური სიმღერები (,,ნანა''), აგრეთვე მეოთხე კლასის მოსწავლის-- მარიამ გარსევანიშვილის მიერ შესრულებული ხალხური ,,იავნანა''.

სად მოვიძიოთ საინტერესო ინფორმაცია

- http://www.youtube.com/watch?v=mj1HVW-n48g

  http://www.youtube.com/watch?v=BECh8T9e0Es
- http://www.youtube.com/watch?v=fRE0fCiikPk
- www.Pmc.edu.ge (მედიათეკა. თემატური გეგმების ბანკი)
- http://www.youtube.com/watch?v=kbzJejDnqsk (სპექტაკლი)